საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/119

ქ. ბათუმი 27 ოქტომბერი, 2021 წ.

ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის
თანამდებობაზე როინ მალაყმაძის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, „ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ„ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 30 სექტემბრის №06-01/99 დადგენილების, ბსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გიორგი დიასამიძის მოხსენებითი ბარათის (MES 7 21 0001144757, 26.03.2021), საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის (№1, 26.10.2021) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 30 სექტემბრის №06-01/99 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის შედეგად ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატი - როინ მალაყმაძე (უფლებამოსილება - **5 წლის ვადით, 2026 წლის 27 ოქტომბრამდე).**
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,კონკურსები“ და ,,აკადემიური საბჭოს დადგენილებები“).
3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტსა და როინ მალაყმაძეს.
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**